

სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი
აცხადებს
ღია კონკურსს

შემდეგი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად:

ქიმიური ტექნოლოგიების ლაბორატორიის ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერ -თანამშრომელი – სრული სამტატო განაკვეთი;

კონკურსის პირობები:

კონკურსანტს უნდა ჰქონდეს:

1. დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
2. ლაბორატორიის მიმართულების შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მინიმუმ 6 წლიანი გამოცდილება;
3. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას და ერთ-ერთ უცხო ენას;
4. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებს – Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, ინტერნეტი.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ / ან მითითებულ ელ-ფოსტაზე (xlomidze@sipt.org.ge) უნდა გამოაგზავნონ შემდეგი დოკუმენტები:

1. განცხადება (**განცხადების ფორმა**);
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ავტობიოგრაფია/CV;
4. სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
5. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
6. ერთი სამეცნიერო ნაშრომის სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;
7. ინფორმაცია სახელშეკრულებო (არასაბიუჯეტო) სამუშაოებში მონაწილეობის შესახებ (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
8. ინფორმაცია სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობის შესახებ;
9. პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტების და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი;
10. შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა;
11. შესაბამისი დარგის ორი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ კონკურსანტს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა, მისამართი).

– საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში, მისამართზე ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. 7, ოთახი 629 ან ელექტრონულად ელ ფოსტაზე: xlomidze@sipt.org.ge 2016 წლის 19 დეკემბრის 10 საათიდან 28 დეკემბრის 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა).

– კონკურსი გაიმართება 29 დეკემბერს.

დამატებითი ინფორმაციისათვის საკონტაქტო პირი:

ხათუნა ლომიძე

ტელეფონი 599959913

სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტის ქიმიური ტექნოლოგიების ლაბორატორიის ხელმძღვანელის

თანამდებობრივი ინსტრუქცია

ზოგადი დებულებები

- 1.1 სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ხელმძღვანელი განეკუთვნება ხელმძღვანელ კატეგორიას.
- 1.2 სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ანთავისუფლებს ინსტიტუტის დირექტორი.
- 1.3 სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ხელმძღვანელის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს პირი, (ცვლის) ამავე ლაბორატორიის თანამშრომელი, რომელიც ინიშნება შესაბამისი წესით დროებით მოვალეობის შემსრულებლად. შესაბამისად ხელმძღვანელის დროებით მოვალეობას შემსრულებელი ასრულებს ამ პერიოდის განმავლობაში და პასუხისმგებელია ყველა იმ ვალდებულებაზე, რომელიც აღებული აქვს ლაბორატორიის ხელმძღვანელს.
- 1.4 სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ხელმძღვანელი მუშაობას ახორციელებს ინსტიტუტის სტრატეგიული განვითარების გეგმით, პოლიტიკითა და მიზნებით სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებში, თანამდებობრივი ინსტრუქციით, კანონმდებლობითა და ნორმატიული აქტებით დადგენილი წესის მიხედვით.

სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის ხელმძღვანელს სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის ხელმძღვანელად შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც აქვს მეცნიერებათა დოქტორის ან აკადემიური დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, გააჩნია: სამეცნიერო ნაშრომები ლაბორატორიის პროფილის მიმართულებით და სამეცნიერო ან ორგანიზაციული მუშაობის გამოცდილება არა ნაკლებ 3 წლისა.ორიის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

2. ფუნქციები

სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის ხელმძღვანელი ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

- 2.1 ახორციელებს და ორგანიზაციას უკეთებს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების (სკს) შესრულებას, განსაზღვრავს მათი განვითარების პერსპექტივებს, ირჩევს მეთოდებსა და საშუალებებს კვლევების ჩასატარებლად, სამეცნიერო-კვლევითი ქვედანაყოფებისათვის წარდგენილი სამეცნიერო-ტექნიკური ამოცანების გადასაწყვეტად, კერძოდ:
 - 2.1.1 ნანოტექნოლოგიების ათვისება და სხვადასხვა ტიპის ოქსიდურ და არაოქსიდურ ნაერთთა ულტრადისპერსული ფხვნილების მიღება;

- 2.1.2 ფხვნილოვანი კომპოზიტების შედგენა და მათგან თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი მასალების მიღება: მათი ფიზიკურ-მექანიკური და ქიმიური თვისებების დადგენა;
 - 2.1.3 სხვადასხვა ფუნქციური დანიშნულების ნაკეთობების მიღება და მათი საექსპლუატაციო მახასიათებლების დადგენა;
 - 2.1.4 ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის ქიმიური მეთოდების დამუშავება;
 - 2.1.5 ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ლაბორატორიის ამოცანების გადასაჭრელად.
- 2.2 ამუშავებს და წარუდგენს წინადადებებს ინსტიტუტის სამეცნიერო ხელმძღვანელობას ლაბორატორიის პერსპექტიული პროექტების და წლიური გეგმების, ქვედანაყოფის განვითარების, სკს გაუმჯობესების შესახებ;
- 2.3 ახორციელებს ურთიერთობას სკს-ს პოტენციურ შემკვეთებთან ტექნიკურ საკითხებზე სკს-ის შესასრულებლად;
- 2.4 ხელმძღვანელობს ტექნიკური დავალების, მისი ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების, სამუშაოების კალენდარული გრაფიკის შემუშავებას;
- 2.5 წარუდგენს ინსტიტუტის ხელმძღვანელობას დაგეგმილ სკს-ის შესასრულებლად აუცილებელ (ლაბორატორიის, ინსტიტუტის პირადი შემადგენლობიდან) პირთა სიას;
- 2.6 პირადად მონაწილეობს სკს-ის შესარულებაში, აკონტროლებს თანამონაწილეების მიერ სამუშაოების შესრულების ხარისხს;
- 2.7 ამზადებს საანგარიშო დოკუმენტაციას შესრულებულ სკს-ზე

3. თანამდებობრივი მოვალეობები

- 3.1 სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის ხელმძღვანელი ასრულებს შემდეგ მოვალეობებს:
- 3.1.1 ორგანიზაციას უწევს სკს-ების შესრულებას, რომლებიც განსაზღვრულია მოცემული ქვედანაყოფისთვის ინსტიტუტის თემატურ გეგმაში, განსაზღვრავს მათ პერსპექტიულ განვითარებას, ირჩევს მეთოდებსა და გზებს კვლევების ჩასატარებლად ქვედანაყოფის წინაშე დასახული სამეცნიერო და ტექნიკური ამოცანების გადასაწყვეტად.
 - 3.1.2 ხელმძღვანელობს ტექნიკური დავალების შემუშავებაში, მეთოდური და სამუშაო პროგრამის ჩამოყალიბებაში და გეგმიური დავალებების ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებაში.
 - 3.1.3 განსაზღვრავს სკს-ის შესრულებაში აუცილებელ თანაშემსრულებლებს.
 - 3.1.4 აკონტროლებს გეგმიური და ხელშეკრულებითი სამუშაოების კონტროლს და მათი შესრულების ხარისხს.
 - 3.1.5 უზრუნველყოფს სკს-ზე ნორმატიული მოთხოვნების შესრულებას შესაბამისი დოკუმენტაციის ხარისხიან მომზადებას, კომპლექტაციას და მათ მიღებული წესით შეთანხმებას.
 - 3.1.6 უზრუნველყოფს მიღებული კვლევითი შედეგების პრაქტიკულ გამოყენებას, ახორციელებს საავტორო ზედამხედველობას და ტექნიკურ დახმარებას ამ შედეგების დანერგვაში.

3.1.7 განსაზღვრავს ქვედანაყოფის მოთხოვნას სკს-ის შესასრულებლად საჭირო ხელსაწყო-დანადგარებით, მასალებითა და სხვა მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფაში.

3.1.8 ღებულობს ზომებს მის განკარგულებაში მქონე მატერიალური რესურსების რაციონალურად გამოყენებასა და ხელსაწყო დანადგარების შენახვაზე.

3.1.9 ორგანიზებას უწევს მიღებული სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების პატენტირებასა და ლიცენზირებას შესაბამისი სამეცნიერო სტატიების, მოხსენებების მომზადებას, სემინარებსა და კონფერენციებში მონაწილეობას.

3.1.10 განსაზღვრავს ქვედანაყოფში არსებული სექტორების (ჯგუფების) მიმართულებას და კონტროლს უწევს მათ მიერ სამუშაოების შესრულებას.

3.2 სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიის ხელმძღვანელი ადგენს ლაბორატორიაში არსებულ დანადგარ-მოწყობილობებზე ტექნოლოგიური პროცესების რეგლამენტს, შრომის დაცვის და უსაფრთხოების ინსტრუქციებს.

3.3 ლაბორატორიის ხელმძღვანელისათვის სავალდებულოა იცნობდეს კანონმდებლობას და ნორმატიულ აქტებს, რომლებიც ეხება შესაბამისი მიმართულებით სამეცნიერო პრობლემებს.

- სამამულო და უცხოური სამეცნიერო ცენტრების მიღწევებს შესაბამის სფეროში;
- სკს-ების ორგანიზების, დაგეგმვის, ფინანსირების, ჩატარების და დანერგვის მიღებული წესები;
- შრომით კანონმდებლობაში, შრომის უსაფრთხოების წესების დაცვას სანიტარული ნორმებს და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს.

4. უფლებები

ლაბორატორიის ხელმძღვანელს (უფროსს) გააჩნია შემდეგი უფლებები

- მონაწილეობა მიიღოს იმ საკითხების განხილვაში რომელიც ეხება მის მიერ თანამდებობრივი მოვალეობის შესრულებას;
- შეიტანოს წინადადება დირექციაში , მისდამი დაქვემდებარებული ქვედანაყოფის მუშაობის გაუმჯობესების საკითხზე;
- მოითხოვოს ხელმძღვანელობისაგან ხელშეწყობა ქვედანაყოფის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საკითხში;

მისდამი დაქვემდებარებული ლაბორატორიის თანამშრომლებს მისცეს დავალება და აკონტროლოს მათი შესრულება

5. პასუხისმგებლობა

სამეცნიერო-კვლევების ლაბორატორიის ხელმძღვანელი (უფროსი) პასუხისმგებელია:

- თავისი თანამდებობრივი მოვალეობების პირნათლად შესრულებაზე, რომელიც განსაზღვრულია ინსტიტუტის წესდებით, შინაგანაწესით, წინამდებარე ინსტრუქციით და საქართველოს შრომის კოდექსით;
- მიყენებულ ზარალზე, იმ ფარგლებში, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს შრომის კოდექსითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად;

- ადებული გეგმიური სამუშაოების დროულად შესრულებაზე;
- სკს-ის შესრულებისთვის საჭირო რესურსებით უზრუნველყოფაზე;
- შრომის დაცვის უსაფრთხოების წესების საწარმოო სანიტარული და საწარმოო უსაფრთხოების მოთხოვნებზე.